თბილისში წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელ მრევლის კავშირისა და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ინიციატივით მოეწყო 2 კვირიანი საპროტესტო აქცია – ლოცვითი დგომა – კინო რუსთაველთან მკრეხელური ფილმის „და ვინჩის კოდის“ ჩვენებასთან დაკავშირებით. გთავაზობთ მასალებს.

მოსახლეობაში დიდი რაოდენობით დარიგდა შემდეგი მიმართვა:

ძვირფასო თანამემამულენო!

ფილმი "და ვინჩის კოდი" საშინელი მკრეხელობაა და ჯვარცმული ღმერთ-კაცის, იესო ქრისტეს შეურაცხყოფა. ასეთი ფილმების გადაღება და ჩვენება იესო ქრისტეს პიროვნების ხალხის თვალში დამცირებასა და მისადმი, როგორც მესიისადმი, რწმენის შერყევას ისახავს მიზნად. ამგვარი ფილმების შექმნა და ხალხისთვის მიწოდება მხოლოდ იუდა ისკარიოტელის სულიერმა მემკვიდრემ შეიძლება განახორციელოს. მაგრამ ამ ფილმის ნახვაც დიდი დანაშაულია, რადგან, როგორ შეიძლება, რომ შეურაცხყოფდნენ ღმერთს, შენ კი, სავარძელში მჯდომი, მშვიდად უყურებდე ამას. ამ დროს ხომ შენც იუდას ღალატის თანაზიარი ხდები?!

ღმრთისმგმობი ფილმების მიმართ პროტესტი არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა, რადგან, ვინც ხმამაღლა გამოხატავს პროტესტსა და აღშფოთებას მკრეხელური ფილმების მიმართ, ის ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელია და ვეღარავინ მიიჩნევს მას ღმრთის მაგინებელთა თანამოაზრედ. ასეთ შემთხვევაში დუმილი – "ღალატია ღმრთისა".

ფილმის ქართველი მიმწოდებლები თავს იმართლებენ, – ასეთი ფილმები რაიმე საშიშროებას არ შეიცავენო. ეს არის დიდი სიცრუე, რომლითაც ცოდვით დაცემული ადამიანები ცდილობენ, თავი იმართლონ. ღმრთის შეურაცხყოფის მოთმენა და შეწყნარება არა მხოლოდ ცალკეული პიროვნების სულისთვისაა საშიში, არამედ მთელი ერისთვისაც. გაიხსენეთ სამი წლის წინანდელი შემზარავი მიწისძვრა თბილისში: იმ ღამეს ღმრთისმგმობ ფილმს, – "სხეულს" – გადასცემდნენ ტელევიზიით და მიწაც სწორედ ამ ფილმის მსვლელობის დროს იძრა. მაშინ ერი დუმილის გამო იქნა მკაცრად გაფრთხილებული.

თანამემამულენო, გვახსოვდეს, – ერი, რომელიც დაუშვებს ღმრთის გმობასა და ხმას არ აღიმაღლებს მკრეხელობის წინააღმდეგ, მკაცრად დაისჯება!

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი
წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი

აქციის მონაწილეებს ზოგიერთი – ვინ თვალთმაქცობით, და ვინ შემცსრი, გვეუბნებოდა, რომ ჩვენ, პირიქით, რეკლამას ვუწევდით კინოფილმს. ამ აზრის სიმცდარე ფაქტმა დაადასტურა: კონოჩვენება აშკარად ჩავარდა, იმდენად, რომ იგი მალევე მოხსნეს ჩვენებიდან. აქციის

მონაწილეები თვალს ვადევნებდით დასწრების საკითხს, და, თუ არ ჩავთვლით პირველ დღეს, ყველა მომდევნო დღეს დამსწრეთა რაოდენობა რამოდენიმე ათეულს არ აჭარბებდა.

აქციის მსვლელობის დროს მოეწყო პირდაპირი ტელედებატები აქციის მონაწილეებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ (ბ-ნი ლევან ბერძენიშვილი, ბ-ნი ნოდარ ლადარია და სხვ) იმ პირებს შორის, რომლებიც საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ ასეთი ფილმების ჩვენებაში. კერძოდ, ბატონ ლევან ბერძენიშვილთან პოლემიკის დროს ამ უკანასკნელმა გასაოცარი ურწმუნოება გამოავლინა. ამიტომაც არ გვიკვირს, რომ მან, ვარდების რევოლუციის ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ და პარლამენტში დაწინაურებულმა, საჯაროდ აღუთქვა საზოგადოებას, რომ მალე შეცვლიდნენ (ის და მისი თანამებრძოლი ნეობოლშევიკები) საეკლესიო კალენდარს, ანუ ჩაერეოდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში მისი რეფორმირების მიზნით. საინტერესოა, დაუჯერებს თუ არა საზოგადოება ამ ერუდირებულ, ნაკითხ, მაგრამ გაუნათლებელ მოღვაწეს (გაიხსენეთ მისი გამონათქვამები ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებით), რომელმაც არ იცის, რომ განათლება სულის სინათლეს, ანუ ღმრთისმოსაობას მოსდევს, და არა ურწმუნოებას, ანუ სულის სიბნელეს.